გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № 143
2024 წლის 13 სექტმბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ 66.45.17.070), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

2024 წლის 02 ივლისის ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბის წერილის საფუძველზე, დადგა საკითხი, ქალაქ გორში, გურამიშვილს ქ. N5-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის (ს.კ. 66.45.17.070) სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ორ წლიან უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა. წერილში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციამ გორის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით 2016 წელს დაიწყო პროექტი „art house-ხელოვნების სახლი", რომელიც ითვალისწინებდა საგანმანათლებლო - შემოქმედებთი სივრცის შექმნას. ხელოვნების სახლი არის ინოვაციური პროექტი, რომელიც რეგიონში ყველაზე დიდი სასწავლო-საგამოფენო სივრცის შექმნას ისახავს მიზნად. პროექტის მიზანია: გორში ხელოვნების განვითარების და ახალგაზრდა ხელოვანთა განვითარების ხელშეწყობა. ამავე მიზნით ღია, ინოვაციური და შემოქმედებითი გარემოს შექმნა, გამოფენების, ვორქშოპების, ფესტივალების ორგანიზება და ხელოვნების ინდუსტრიის შექმნა. გორის მუნიციპალიტეტის მერიის, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის „out the area"-ს დახმარებით პროექტი „art house –ხელოვნების სახლი" გადაიზარდა პროექტში „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის 2018-2020". 2021 წელს მოეწყო ორგანიზაციის ფოტო გამოფენა და მოხდა სივრცის გახსნა, მოიპოვეს დაფინანსება კულტურის სამინისტროსგან, რომლის ფარგლებშიც მოახდინეს გორის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოფიქსირება და წიგნად გამოცემა. 2022-2023 წლებში აღნიშნული ორგანიზაციის მეშვეობით შეიქმნა გორის მუნიციპალიტეტში ისტორიულ-კულტურული ძეგლების კატალოგიზაცია და ფოტოფიქსაცია. ასევე, შეიქმნა პორტალი www.Monuments.ge, რომელზეც განთავსდა მუნიციპალიტეტში არსებული ძეგლების 90%-ზე მეტი. ხელოვნების სახლმა 2022 წლის მანძილზე 11 გამოფენას და ინსტალაციას უმასპინძლა. შეიქმნა 2 მურალი და მოიხატა მიწისქვეშა გადასასვლელი. ხელოვნების სახლი გარდაიქმნა გორში შემოქმედებითი გამოხატვის მთავარ კერად. 2023 წელს გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების 10 გამოფენა, რომელიც მოინახულა 4000-ზე მეტმა ვიზიტორმა. იმავე წელს ხელოვნების სახლში პარტნიორებთან დახმარებით მოხდა 16 მხატვრულ დოკუმენტური ფილმების ჩვენების ორგანიზება.

წერილში აღნიშნულია, რომ ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული ქალაქის კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნების გაუმჯობესებაში. ორგანიზაციის მიერ გაწეული ღონისძიებების სიმრავლიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე გაჩნდა ახალი სივრცის შექმნის იდეა-თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი გორში. რაც მოიცავს, ძველი ბაზრის ტერიტორიის სრულად გარდასახვას და ახალი შენობის აშენებას, საგამოფენო დარბაზებით. 2024-2025 წლებში აღნიშნული იდეის გარშემო ხელოვნების სახლი აპირებს მუშაობს, რაც ქალაქის ახალ იდენტობის, კულტურული და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურების საწინდარი იქნება. ასევე, გორელ ფოტოგრაფთა კლუბს პროექტების ფარგლებში, დაინტერესებაში არსებული ფართი, სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა პირობით, რაც ითვალისწინებდა

ქონების დასუფთავებას და მის სანიტარულ მდგომარეობაში მოყვანას. ორგანიზაციამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა შეასრულა.

აღნიშნულის გათვალისწინებით და დასახული მიზნების განსახორციელებლად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბს უსასყიდლოდ სარგებლობაში, უზუფრუქტის ფორმით გადასცეს, ქალაქ გორში, გურამიშვილის ქ. N5-ში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდი N 66.45.17.070.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ გორელ ფოტოგრაფთა კლუბს (ს/ნ 417887228) გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, გურამიშვილის ქ. N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ფართი 371,00კვ.მ) საკადასტრო კოდი N 66.45.17.070 და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა, ფართობით 233,10კვ.მ.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე